# სამშობლო

წ. I 1915 წ.

ხუთშაბათი 2 აპრილი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ, ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კი ... განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ... 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 46 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 46


„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.


ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

„სამშობლო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი.
ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ.
ადრესით. ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.


ღრმათ დამწუხრებული ქვრივი ფატმან ზურაბის ასული, შვილები—მემკვიდრენი: მექიაა, გრიშა, კნეინა მარუსია ემუხვარისა, ნინო და ანა, დაი კესარია თომას ასული წერეთლისა, სიძე თავ. დიმიტრი ყიზილბეგის ძე ემუხვარი, ცოლის დები: ირინე, ფეოდოსი ზურაბის ასულნი ლოლობერიძეები და ცოლის დის შვილი ეკატერინე ანტონის ასული შუბლაძე, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

**აზნ. მიხეილ თომას ძის ჩიკვაიძის გარდაცვალებას.**

პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 6 საათზე. გამოსვენება თავის საკუთარ სახლიდან პეტრე-პავლეს ქუჩ., კვირას, 5 აპრილს, ნაშუადღ. 3 საათ.

1—1—144

მოსკოვში გარდაიცვალა

**პლატონ პავლეს ძე ქავთარაძე,**

რასაც უგულითადესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის **ქვრივი, და, სიძე** და **ძმა.** განსვენებულის ცხედარს მოასვენებენ დაბა ახალ-სენაკში.

2—1

ელექტრო-თეატრი „რ ა დ ი უ მ ი“.

დღეიდან, ხუთშაბათი, 2 აპრილი, ნაჩვენები იქნება ბრძოლის ახალი გეგმა

**სენსაცია!** **სენსაცია!**

## მ ა რ ს ე ლ ი ე ზ ი

1792 წ. საფრანგეთის ჯარის გამარჯვების სიმღერა. (საიდან წარმოდგა ეს სიმღერა).

„ვანდი ტრორიმონ და ვიგო ლორენი“

დრამა სამ მოქ. შესრულებული საუკეთესო მსახიობებისაგან.

პიანისტი ა. ო. ოქსენგაუტი, მოწ. კიევის კონსერვატორიისა (პრ. პუხალისა) დაუკრავს მარსელიოზას.

რუსული სამხედრო ქრონიკა

გამოც. პეტროგრადის სკობელევის კომიტეტისაგან.

მესამე სერია. ავსტრიის საზღვარზე

ნამდვილიდან.

ალუა შემორტყმული ახალად ჯვარდაწერილები

კომიკური სურათი.

**დასაწყისი საღამოს 6 საათზე.** **ფასები ჩვეულებრივია.**

**ანონსი:** ორშაბათიდან, 6 აპრილიდან, **„ქმარი“.**

**არციბაშევის** რომანი 4 ნაწილათ. უმთავრეს როლს შეასრულებს ქუთ. საყვარელი მსახიობი **ვარიაგინი.**

**ქალაქის თეატრი**

## გ ა ს ტ რ ო ლ ი ნ ი ნ ო ჩ ხ ე ი ძ ი ს ა

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ, შაბათს, 4 აპრილს,

**ნინო ჩხეიძის** მონაწილეობით წარმოდგ. იქნება ცნობილი პიესა ზუდერმანისა

## ქალის სამშობლო (მამულ-დედული)

4 მოქ. თარ. ვ. გუნიას მიერ.

**მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი,**

**დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე**

ადმინისტრატორი ვასო ურუშაძე. რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

**მზადდება წარმოსადგენად:** ივდითი, იუდას მემკვიდრე, ოიდიპოს მეფე და ოტელლო.

**ფასები ჩვეულებრივია.**

ქ. ქ უ თ ა ი ს ი

მ ო ს კ ო ვ ი ს ფ ი რ მ ი ს გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა

ამხანაგობა

## „ნ. უ დ ა ლ ო ვ ი დ ა ი. ვ ა ვ ი ლ ო ვ ი“

გიმნაზიის ქუჩა საკუთ. სახლი.

## თ ო მ ა ს კ ვ ი რ ა შ ი

30 მარტიდან 4 აპრილამდი

დანიშნულია

# დიდი იაფი ვაჭრობა

ყოველგვარ სამანუფაქტურო საქონლისა.

**ქალაქის თეატრი.**

ხუთშაბათს, 2 აპრილს, **მსახიობი მიშა გელოვანი** გამართავს წარმოდგენას რუსულ ენაზე. წარმოდგენილი იქნება

I.

## გემრიელი ლუკმა

კომ 3 მოქ. ალექსანდროვისა.

II.

## მ ე ო რ ე მ ხ რ ი დ ა ნ

სცენა მონოლოგი 1 მოქ.

მონაწილეობას მიიღებს ქარ. თეატრის მსახიობი და რუსული სცენის საუკეთესო სცენის მოყვარენი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** **ფასები მომატებულია.**

გამგე **მ. გელოვანი.**

## გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა.

## ს/ს გ ო კ ი ე ლ ო ვ ი ს—შ-ბი

ქ უ თ ა ი ს შ ი

**ამით აუწყებს მეაბრეშუმე-მწარმოებლებს,** რომ **გაზეთებში** გამოჩდა ცნობები შესახებ იმისა, რომ **ზოგიერთი თესლის გამყიდველები** სარგებლობენ არეული დროით და გამოაქვთ ბაზარზე ყალბი (ცუდი) თესლი და მას, (რაც ფრიად სამწუხაროა) ათასგვარი საშუალებით—სხვა და სხვა ცნობილი ფირმის თესლის სახელით ასაღებენ ხახლში. ამისათვის გასული წლების მსგავსად წელსაც **ხ. ხრისტოდულიდის** მიუცილებელ საჭიროდ'ვცანით, რომ თესლის მყიდველნი მეაბრეშუმენი არ მოტყუვდენ და თავიდან აიცდინონ სიყალბე, გავაფრთხილოთ: **დააკვირდით ჩვენს ფირმას**—გარეთ კოლოფს აქვს **იარლიკი ქართული წარწერით** (თეთრ ქაღალდზე) და ახვია **„შტემპელი“**, აწერია **„ს/ს. გოკიელოვის შ—ბი“**, შიგნით კოლოფში თეთრ ბლონდიდან გაკეთებული პატარა ტოპსიკებზე, რომელშიაც კაკალია აზის **„შტემპელი“** რუსულ-ქართული წარწერით **„ხ. ხრისტოდულიდისის“** და **ს/ს გოკიელოვის შ—ბის“**, აქვე დასმულია **ლუქით ბეჭედი,** რომლის სიმთელეს აუცილებლათ ყურადღება უნდა მიექცეს. მიაქციეთ ყურადღება,—რომ **კოლოფს ირგვლივ შემოყოლებული სათანადო მთავრობის ბანდეროლი** აუცილებლათ მთელი იყოს. თ.

## თესლის გაყიდვა გძელდება.

**ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის**

## „ძმათა პასხალიდის“ აბრეშუმის თესლი

უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში

**ნოკიფორე მ. ჯანელიძის მაღაზიაში;**

**ბათომსა და ჭიათურაში მ. ს. მანუილიდის** კანტორაში და ახალსენაკში **ილია იაკიმიდის** მაღაზიაში ხელსაყრელ **ფასათ.** მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე.

თ. 69.

დაიბეჭდა და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიას მოუვიდა გასაყიდათ

**ნ. ს. ჟორჟიკიას** შემდეგი რუსული წიგნი:

„Критика психологической теорiи права“

Проф. Л. I. Петражицкаго. ფასი 6 შაური თ.

**კბილის მენაღარიშრილი და ტრუფაექიმები. ნოვა.** დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

**სტუდენტი, უმაღლესი დასაწყისი სასწავლებლის მასწავლებელი**—ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებლების ყველა კლასისთვის. აგრეთვე უმაღლეს დასაწყისი და ორკლასიან სასწავლებლის მასწავლებლად, „ჩინზე“ და აფთიაქის მოწაფეთ. შეიძლება მოწაფესთან სახლში სიარული. მისამართი: **ძველი თფილისის ქუჩა ჟორჟოლაძის სახლი.** 14—3

## ს ტ უ დ ე ნ ტ ი

ვარლამ ფერაძე (9 წლის პრაქტიკით)

**ვამზადებ** და **ვუსწორებ** გაკვეთილებს ყველა კლასების მოწაფეებს **ყველა საგანში.** (სპეც.: რუსული, ლათინური, მათემატიკა და ფიზიკა). შედგა ჯგუფები სხვადასხვა კლასისათვის, აფთიაქის მოწაფეების, ჩინზე, სიმწიფ. მოწმობ. და სხვა.

მისამართი: ჭავჭავაძის ქუჩა, ციხის იქით, იკითხეთ ლეჟავას მაღაზიაში დევიძის სახლი.

14—10

## გამოცდილი რუსი მასწავლებელი ქალი.

სპეციალისტი რუსულსა და მათემატიკურ საგნებში ამეორებიებს და ამზადებს მოსწავლე ქალებს ყველა კლასისათვის. თანახმაა იმასწავლებლოს სოფლათაც.

**მისამართი:** ძველი თფილისის ქუჩა, სახლი ცნობილაძისა, ბინა მასწავლებელ ფიოლკოვისა. 5—3—135

**საჭიროა გამოცდილი მოსამსახურე ქალი გავშის მოსავლელათ.** მსურველს შეუძლია მიმართოს პუშკინის ქუჩაზე, ჭეიშვილის სახლში **მ. თ. ბურდეინს,** ნაშუადღევის 3—4 სათამდის.

3—2 უ

# ო მ ი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსგან.

**ოსმალეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 31 მარტი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ართვინის გზით ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. ზღვისპირისა და ოლთინის გზით სროლაა. სხვა ადგილებში მდგომარეობა უცვლელია.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 31 მარტი. ოფიციალური. მთავარსარდლის შტაბისაგან. 29—30 მარტს, კარპატებზე ბარტფელდის გზიდან სტრიის გზამდი ბრძოლა ფართო ხა-

სიათს ღებულობდა. მდ. ონდავის ორთავე ნაპირზე წინ წავიწიეთ. სტროპკოს სამხრეთით და ტელეპოჩიდან ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით რამდენიმე სიმაღლე დავიჭირეთ. უჟოკის გზით გავმაგრდით, სადაც დიდი ბრძოლის შემდეგ სოფელ ბუკოვიცისა, გენევისა და ვისლოკონიზის რაიონებში ყველა სიმაღლე ჩვენს ხელში გადმოვიდა. 2,700 ჯარის კაცი და 53 აფიცერი დავატყვევეთ, ერთი ზარბაზანი და ოცამდი ტყვიისმტყორცნელი ვიხელთეთ. ვოლოსატეს სამხრეთით და კოზიუვკას რაიონის სიმაღლეებზე მტერმა მთელი თავისი ძლევამოსილებით მოურიდებელი იერიში მოიტანა. ყველა იერიში მოვიგერიეთ. ბუკოვინაში ზალეშჩიკის გზის ფრონტზე ღამით, 29 მარტს, დიდი წვიმის დროს, სიბნელეში მტერმა გააფთრებული იერიში მოიტანა. ჩვენი ქვეითა ჯარი მტერს მამაცურად უხვდებოდა და ხიშტით იგერიებდა. ნემანიდან დასავლეთით გერმანელების რამდენიმე იერიში მოვიგერიეთ. სხვა ადგილებში მზვერავი რაზმების შეტაკება გახშირდა.

## სხვა და სხვა ამბები.

პეტროგრ. დეპ. სააგენტ.

**ლონდონი.** 30 მარტი. ვაშინგტონიდან „ტაიმსს“ დეპეშით ატყობინებენ, რომ ჩრდილ.-ამერიკაში გერმანიისადმი მძულვარება თანდათან ღვივდება. საზოგადოება ძალიან აღშფოთებულია გერმანიის ელჩის მიერ გერმანიის ნოტის ნაადრევათ გამოქვეყნების გამო, რომლითაც შეერთებულ შტატებს ბრალი ედება იმაში, რომ სამთა კავშირს ხელს უწყობსო.

**ლივერპული.** 30 მარტი. გემი „უეფარერი“ კვინსტოუნის ნაპირზე გაირიყა.

**პარიზი** 30 მარტი. გერმანიის მთავარი ბინის ცნობა მაასსა და მოზელს შუა ბრძოლის შესახებ არამც თუ სინამდვილეს არ შეეფერება, პირიქით, იმ გაჭირვებულ მდგომარეობას ამტკიცებს, რომელშიც გერმანელები იმყოფებიან.

**ნიში.** 31 მარტი. დილის ათი საათიდან დღის ორ საათამდი მტერი ბელგრადთან ახლო მდებარე პოზიციებს და სიმაგრეს მძიმე ზარბაზნებიდან ესროდა სერბიელების ბატარეიების ადგილ-მდებარეობის გამოსარკვევათ. სერბიელებმა არ უპასუხეს.

**ბუქარესტი.** 31 მარტი. ქაღალდის გატანა აკრძალულია.

**თეირანი.** 31 მარტი. ოსმალებმა კასრიშირინი დაიჭირეს და ქერმანშანსა და სენოსკენ გაემართნენ. ხომანდასკენ იწევენ.

**რომი.** 30 მარტი. გუშინ იტალიის ყველა ქალაქში ომის მომხრეებმა დიდი დემონსტრაციები გამართეს მიუხედავათ გაძლიერებული დაცვის წესებისა—ხალხი ქუჩებზე ყვიროდა: „გაუმარჯოს ომს, ტრიესტი და ტრიენტი უნდა დავიბრუნოთო“. ავსტრიისა და გერმანიის საელჩოების შენობებს ჯარი იცავდა.

## ომიანობის იდეოლოგები გერმანიაში.

(გაზეთებიდან)

მკითხველმა იცის, რომ დღევანდელ მსოფლიო ომის დამწყებათ „ქვეყანა“ გერმანიას თვლის. „ჯავშნიანი მუშტი“, ბარბაროსი, „გამძინვარებული მხეცი“, „ქვეყნიერობის მტარვალი“ „მილიტარისტი“, „იმპერალისტი“ და სხვა მრავალი მსგავსი სიტყვები იხარჯება დღევანდელ გერმანიის, ერთ დროს კი ქებული „ახალგაზდა გერმანიის“ შესამკობათ; არ არის ქვეყანაზე იმდენათ ერთობრივი, ერთ ეროვნული შედგენილობის დიდი სახელმწიფო, როგორიც არის გერმანია და ყოველივე, რაც კი დღემდე კულტურულ კაცობრიობას წარმოუშვია, განვითარების უმწვერვალეს წერტილამდე აღუყვანია მას. რა მხარეს დაასახელებთ ცხოვრებისას, რომ ის გერმანიაში უმაღლესად არ იყოს განვითარებული და მის უაღრეს ნიმუშებს არ იძლეოდეს. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ და მარტო ომი, ომიანობა დავასრულოთ, ის აქაც პირველობს, და ამიტომაც საბუთიანია ის აზრი, რომ გერმანია პირველი მეომარია, ინიციატარია ომის და რომ მას ეს მხარე „მეომრობა“ უმვწვალესათ განუვითარებია.

ამას გვიმტკიცებს არა მარტო ის გარემოება, რომ დღეს ქვეყანაზე გერმანული ფირმის, ცნობილი კრუპპის ზარბაზნები სამაგალითოა და კაცთა საჟლეტ უპირველეს იარაღით ითვლება, არამედ ისიც, რომ არც ერთ თანამედროვე ერს არ წარმოუშვია ისეთი მტკიცე და ენერგიული მკვლევარ-იდეოლოგი ომისა და ძალმომრეობისა, როგორც არის გერმანელი მწერალი გენერალი ფონ-ბერნგარდი რომელმაც ომის წინა წლებში შესანიშნავი წიგნი დასწერა სახელწოდებით „გერმანია და მახლობელი ომი“.

ამას უნდა დაურთოთ ის გარემოებაც, რომ არსად, არც ერთ ქვეყანაში სამღვდელოება ისე აშკარათ არ ქადაგებს „ქრისტეს სახარების“ სახელით ომს, როგორც ამას გერმანიის პასტორები ჩადიან.

ქრისტეს მოძღვრება, რომელიც პირდაპირი წინააღმდეგობაა ფიზიკურ ძალაზე დამყარებულ უფლებისა და, მაშასადამე, ზემო დასახელებულ გერმანელ მეცნიერის, ფონ-ბერნგარდის დებულებისა, გერმანელ სამღვდელოებას დღეს ომის იარაღათ და სამხედრო ინსტიკტის გასაღვიძებელ-გასაღიზიანებელ მასალათ გამოუყენებია.

ყველა ეს ზემოთ თქმული რომ ნათელი და ცხადი იქნეს მკითხველთათვის, ამისთვის ჩვენ აქვე გავაცნობთ მოკლეთ მას, როგორც ფონ-ბერნგარდის ახლანდელ აზრს ომის შესახებ, ისე იმასაც, თუ რას ქადაგებენ დღეს გერმანიაში პასტორები „დოგმის“ საწინააღმდეგოთ.

ამას წინათ ნიუიორკის გაზეთში ცნობილმა გენ. ფონ-ბერნგარდიმ მთელი რიგი წერილებისა მოათავსა, რომ ამერიკელებისთვის გაეცნო ის მიზნები, რომლებსაც ამ ომით გერმანიამ უნდა მიაღწიოს.

„საქვეყნო უფლების მოპოვება, თუ დაცემა? ასე დავაყენე მე კითხვა—ამბობს ზემოხსენებული გენერალი, ჩემს წიგნში, რომელიც „მახლობელ ომს“ შეეხებოდა. „საქვეყნო ბატონობა, მსოფლიოს დაპყრობა“ კი არა, არამედ „საქვეყნო უფლება“. ამ ორ ცნების შორის დიდი განსხვავებაა. გერმანიას არასოდეს არა ჰქონია განზრახვა დაიპიროს და დაიმორჩილოს სხვისი ქვეყნები.

მოკავშირეების სამხედრო გეგმა ჩვენ მხოლოდ იმას გვიმტკიცებს, რომ ბელგია ფაქტიურათ არასოდეს არ ყოფილა ნეიტრალი, რომ გერმანიას არა თუ უფლება ჰქონდა, არამედ მოვალეობაც იყო მისი, რომ შეჭრილიყო ბელგიაში: ამით მას ძალმომრეობა სულაც არ ჩაუდენია, პირიქით თვითონ ბელგია შეუერთდა გერმანიის მოსისხლე მტრებს და მისი განადგურება მოინდომა...

ახლანდელ ომში გერმანიის გამარჯვება ეს ქვეყნიერების განთავისუფლება იქნება ინგლისის უღლისა და გავლენისაგან. ინგლისის ზღვაზე გაბატონება დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ყველა იმ ხალხებისა და სახელმწიფოების თავზე, რომლებიც კი დღეს სადმე ზღვის სანაპიროებს ფლობენ ან რომელიმე მათგანს სადმე თავისუფალი ზღვის იქეთა ახალშენები, კოლონები, აქვს; ყველა ეს ადგილები სახიფათო და საშიშ მდგომარეობაშია, ვინაიდან მათ ზღვიდან თავდასხმას ემუქრებიან. ამ სახით ბრძოლა, რომელიც ძალათ მოახვიეს თავს გერმანიას, წარმოებულ უნდა იქნას არა მარტო გერმანიის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, არამედ მთელი ძველი ქვეყნის და ყველა იმ ხალხების თავისუფლებისათვის, რომელთაც კი შესწევთ ძალა და ნიჭი თავისუფალ მოქმედებისა და განვითარებისათვისა“ო.

(დასასრული იქნება).

დ.

## ებრაელთა საკითხი რუსეთში.

ამ ჟამათ მსურს ვიფიქრო რუსეთზე,—მხოლოდ რუსეთზე და სხვა არავისზე და არაფერზე.

საკითხი რუსეთში მცხოვრებ ყველა ეროვნებათა არის საკითხი თვით რუსეთის ყოფნა არ ყოფნისა. მსურს ვკითხო ყველა ამ ერებს: როგორ გინდათ იცხოვროთ,—რუსეთში, თუ მის გარეშე? თუ მის გარეშე, მაშ რაღათ მოგვმართავთ ხოლმე გაჭივრების დროს საშველათ? და თუ რუსეთში გსურთ ცხოვრება ჩვენთან ერთად, მაშ ამ საშინელ წუთში დაივიწყეთ თქვენი თავი და იფიქრეთ მხოლოდ რუსეთზე, რადგან თუ იგი აღარ იქნება,—აღარც თქვენ იქნებით. რუსეთის დაღუპვა,—თქვენი დაღუპვაა, მისი ხსნა,—თქვენი ხსნაა. მინდა ვაღიარო, რომ არ არსებობს ებრაელთა, პოლონელთა, ქართველთა, სომეხთა, რუსთა და სხვათა საკითხები,—არსებობს ერთი საკითხი—რუსეთისა.

მსურს ეს ვსთქვა, მაგრამ არ შეიძლება. რუსეთის ტრაღედია სწორედ იმაში გამოიხატება, რომ ამჟამათ ამის თქმა არ შეუძლია. რუსეთის საზოგადოების მთელი იდეიალიზმი ნაციონალურ საკირხვებში უძლურია, მაშასადამე არც პასუხის მგებელია.

ებრაელთა საკითხში ეს ნათლადა სჩანს.

რა სურთ ჩვენგან ებრაელებს? გამოვთქვათ ჩვენი აღშფოთება ანტისემიტიზმის წინააღმდეგ? მაგრამ ეს ხომ დიდიხანია, რაც ვაღიარეთ და ეს აღიარება იმდენად გულწრფელი და მასთან ძლიერი იყო, რომ გულგრილად და დალაგებულის გონებით ამაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელი ხდება. შესაძლებელია მხოლოდ ებრაელებთან ერთად ჩვენც ვიყვიროთ „ვიშველეთო“ და ჩვენც ვყვირით.

მაგრამ მარტო ყვირილი არა კმარა... და მარტო ამის შეგნებაც-კი სულს გვიხუთავს, ძალას გვილევს.

და ამ სირცხვილისა და გათახსირების დროსაც კი ვყვირით, ვირწმუნებით, ვეფიცებით იმ პირთ, რომელთაც ანბანური ჭეშმარიტებაც არ იციან, რომ ორჯერ ორი ოთხია, რომ ებრაელებიც ისეთივე ადამიანები არიან, როგორც ჩვენ... ისინი არ არიან მოღალატენი, სამშობლოს მტერნი, გამყიდავნი, არამედ—პატიოსანი მოქალაქენი რუსეთისა. რომელთაც ჩვენი ქვეყანა უყვართ არა [illegible] ჩვენზე, რომ ენტისემიტიზმი [illegible] მმრცხვინო ლაქაა.

შეგვიძლია მხოლოდ ყვირილი.

დამშვიდებული მსჯელობა-კი—არა.

იუდოფობობა იუდოფილობასთან და კავშირებულია. ბრმად უარისყოფა სხვისი ეროვნებისა უფრო განამტკიცებს ეროვნულს გრძნობას. ამგვარ მსჯელობაში აბსოლუტურ „არას.“—აბსოლუტურ „ჰო“-თი უნდა უპასუხო.

ვინ არის „იუდოფილი“ რუსეთში ამ ჟამათ მაინც? ეს არი კაცი, რომელსაც ებრაელები უყვარს განსაკუთრებულის სიყვარულით, რომელიც გრძნობს მათში მეტ სიმართლეს, ვიდრე სხვა ერებში. ასეთ „იუდოფილებათ“ მივაჩნივართ ხოლმე ნაციონალისტებს „ჭეშმარიტ—რუსებს“, ჩვენ, რუსები, არა „ჭეშმარიტნი“.

„რას ჩააცივდით ამ ებრაელებს?“ გვეუბნებიან ნაციონალისტები.

მაგრამ როგორ არ ჩავაცივდეთ ებრაელებს, და არა მარტო ებრაელებს, პოლონელებს, ქართველებს, სომხებს და სხვებსაც?! როცა ჩვენი თვალის წინ სვხას ავიწროვებენ, შეურაცხყოფენ, ადამიმნური გრძნობა ნებას არ გვაძლევს გვერდი აუაროთ და თუ შველა არ შეგვიძლია, მასთან ერთად ვიყვიროთ მაინც. დიახ, ჩვენ ამას ჩავდივართ და ვაი ჩვენ, თუ ასეც არ მოვიქეცით! მაშინ ხომ დავკარგავთ ადამიანობას!

ნაციონალურ საკითხთა მთელი გაუვალი ტყე აღემართა ჩვენ წინ და დაფარა რუსეთის ცა. რუსეთში მცხოვრებ ყველა ეროვნებათა ენები დაფარა რუსეთის ენამ. ჩვენი ყოფა ცუდია,—იმათი უარესი. ჩვენ გვტკივა,—იმათ ჩვენზე მეტად! ჩვენ უნდა დავივიწყოთ ჩვენი თავი მათ საკეთილდღეოთ.

ამიტომ ვეუბნებით ნაციონალისტებს.

— დაანებეთ თავი სხვა ერების დევნას, რომ გვქონდეს უფლება ვიყვნეთ რუსები, ჩვენი ნაციონალური სახე გამოვაჩინოთ, როგორც სახე ადამიანისა და მხეცისა.

ებრაელთა უუფლებობა არის შედეგი ქრისტიანთა დუმილისა. გარეგნული მათი დაჩაგვრა, სულიერი ჩვენი დაჩაგვრაა.

ამ ომის დროს რამ აღძრა ებრაელთა სეკითხი? მანვე, რამაც სხვა ეროვნებათა საკითხები წამოაყენა ევრე ნათლად.

ამ ომს „გამათავისუფლებელი“ ომი ვუწოდეთ. დავიწყეთ იგი, რომ გავათავისუფლოთ შორეულნი: შორეულნი

## მოკლე სიტყვა დიდ საგანზე.

**ხალხური ჩვეულებანი.**

„რას სჩადიხართ?!“ ილ. ჭავჭ.

წიწამურის ბოლოში, ჩვენს მოჭირნახულე ილ[illegible] ვერაგები რო მოსაკლავად დაუხვდენ, მტარვალებს ასე შეუტია: „რას სჩადიხართო“. დღეს მეც იმასვე ვეტყოდი იმ პატარა გუნდს ჩვენის ინტელიგენციისას, რომელსაც გულწრფელად, მაგრამ უვიცობით, საგნათ აუღიათ ხალხურ ჩვეულებათა მოსპობა, ანუ გადაგვარება. განა ამ საწყლებს შეუსწავლიათ ან ჩვენი ხალხი, ან მისი წარსული და აწინდელი მდგომარეობა, ან გაუკვლევიათ უკეთესი გზა მომავლის აღორძინებისა? არა და ათასჯერ არა. როგორც „კლდემაც“ აღიარა კიდეც, სწორედ იქიდან წარმოსდგენ ამ ჯგუფის და საზოგადოთ ჩვენი მოთავეების უბედური შეცდომანი, რომ ჩვენ ხალხს ვერ ვიცნობთ, მისს საუკუნეთა ხალხის გენიოსობისგან დაწესებულს ზნეჩვეულებას აბუჩად ვიგდებთ და უარვყოფთ განუკითხავად, შეუგნებლად, დაუკვირებლად. ჩვენ, ნასწავლებმა რომ ხალხსა და ხალხოსნურს ზურგი ვაქციეთ, ხალხმაც ალმაცერად შემოგვხედა. ოცდა-ათი წელიწადი ხალხში ვტრიალებდი და „ნასწავლს კაცებზე“ სოფლებში საყვედური მეტი გამიგონია, ვიდრე ქება. მხოლოდ უკანასკნელ წლებში, როდესაც ეროვნების უარმყოფელმა „პროპაგანდამ“ აქა-იქ სოფლებშიაც ფეხი მოიკიდა, აქ, შიგ ერის გულშიც გაჩნდენ გადაგვარების მქადაგებელნი, ყოველ ეროვნულის უარისმყოფნი. ჩატყდა ხიდი ნასწავლ და სოფლელ ხალხს შუა, დასუსტდა „ნასწავლ კაცების“ ავტორიტეტი, დააკლდა ბეჭდურ სიტყვასაც უწინდელი ძალა და ზოგან თვით განათლებასაც ექვით უცქერის ხალხი, განსაკუთრებით ქართლის სოფლებში.

ოციოდე წლის წინათ ქედებში სხვა-და-სხვა სოფლებიდან შეკრებილ ხალხს გამოვუცხადე—სკოლას გაგიხსნით მუქთად, ოღონდ შენობის ნახევარი იკისრეთ მეთქი. (1891 წ. ქნის ხეობა[illegible]). ხალხისაგან რო მადლობას მოველოდი, იცით რა მოხდა? იგრიალა ამოდენა შეზარხოშებულმა გლ[illegible]ბამ და თითქო შეთქმულანო, ერთპირათ დაიყვირეს: არ გვინდა სკოლაო! რატომ?—იმიტომ, რომ ჩვენის გლეხის შვილი, ვინც სკოლაში გაიზარდა, დედმამა არა სწამს, ეკლესიაში არც შეიხედება, და-ძმას პატივს არა სცემს, მოყვრობა ნათესაობა არ იცის, ამაყია, თავი დიდათ მოაქვს—მე ნასწავლი ვარო; არ ესწრება ჩვენებურს საღვთოს, სამლოცველოს, ჩვენს ლხინსა და ჭირში მონაწილეობას არ იღებს, ეზარება გუთანზე მუშაობა, მეხრეობა, სძულს ჩვენი ყველაფერი, სხვაგან გარბის, ქალაქებს ეპოტინება, ლაქიობა ურჩევნია ჩვენთან ყოფნასო. მრავალი მაგალითი წარმოადგინეს ყველა ამის დასამტკიცებელი. ამასთან ისიც დაადასტურეს, რომ, რაც „პლუტი“ კაცები იმ სოფლებში აღმოჩნდენ, სულ სკოლაში ნასწავლები იყვნენო. ერთმა მოხუცებულმა გლეხმა ასე დააბოლავა: „ბატონო, მე ცაში ღმერთი მწამს და აქ დედამიწა და ალალი შრომაო. სკოლაში ნასწავლებმა-კი ზეცაში ღმერთი დაკარგეს და ამ ქვეყანაშიც მიწა, დედმამა, ნათესაობა, ყველაფერი ჩვენებური და ბოლოს ან გადაიხვეწენ ქალაქებში, ან სოფლის მჭამელნი გახდენ, ულონონი, ზარმაცნი, ყველასაგან მოძულებულნი, ზოგიც ცუდ კაცებში ჩაეწერნენო. არ გვინდა სკოლა! სკოლის სახლიც რო მუქთად მოგვცე და ქაღალდ-წიგნებიც რომ ჩვენს შვილებს მუქთად ურიგოთ, არ გვინდა სკოლა—ასე მოახსენე თქვენს მომგზავნელს ჩვენს მაგიერად. თქვენ რო გვპირდებით, თქვენი სკოლა ისეთებს გაზდის, როგორიც ჩვენ გვინდა, მაშ ჯერ გახსენით და მაგალითი დაგვანახეთ: თუ იმისთანას გაგვიზრდი, რომ ჩვენებურობა ესმოდეს, ჩვენს ჩვენობას არ თაკილობდეს, ოჯახი, ნათესაობა, მეზობლობა სწამდეს, მკა-თესვა სხვაგან თრევას ერჩივნოს, ქვეყანა უყვარდეს და მეზობლებსაც თავი შეაყვაროს—თუ ამისთანა სკოლას გაგვიხსნი, ჩვენ ჩვენის ხარჯითაც შევიძლებდით, მთავრობას ძალიან არ შევაწუხებდით თხოვნითაო.

იმავე წელიწადს ვრცლად აღვწერე გლეხებთან ეს კამათი, დავბეჭდე კიდეც რუსულად „სექ[illegible]არხოსო უწყებაში“.

ეს თითქო უბრალო შემთხვევა ნუ გგონიათ: აქ ხალხმა გულუბრყვილოდ ზარხოშობის გამო დაურიდებლად გამოსთქვა ის ღრმა იდეალი, რომელიც შეუქმნია ეროვნულ გენიოსობას მრავალი საუკუნის გძელს მანძილში. ეს ის ეროვნული იდეალია, რომელიც უკვდავმა შოთამ სიმბოლიურად გაატარა თავისს ქმნილებაში და ღრმად ჩაუსახა გულში მთელს ქართველ მოდგმას, როგორც მისი ეროვნული თავისუფლებანი. ხალხი არ იკარებს არაფერს იმისთანას, რაც მისს ეროვნულ იდეალს არ ეთანხმება, რაც მისს თავისებურობას ეწინააღმდეგება, რყვნის, გადაგვარებას უქადის. ეს იდეალი შეადგენს მის არსებითს თვისებას, შეუგნებლად შესისხლხორცებულს ნათესავითი ნათესავამდე. „ჩვეულება სჯულზე უმტკიცესიაო“—გვასწავლის ქართველი ერის გენიოსობა; და ვისაც ადვილი ჰგონია ხალხში დამყარებული ჩვეულებანი მოშალოს, ის ესათუოდ ან ჯერ სულაც ვერ მიღწევნულა გონიერების წრემდი, ან ჭკუის წრიდან კიდეც გადამხტარა და უგზო უკვლოდ ნიავს დააქვს ცარიელ ცის სივრცეში.

ხალხი ზღვაა, ხოლო თითოეული „ნასწავლი კაცი“ კი წვეთია ამ ზღვისა, დავგლახ იმ ერთეულ წვეთს, თუნდაც ღრმათ ნასწავლი კაციც იყოს, რომელსაც თავისი თავი უბრძნესად მიაჩნია მთელის ეროვნებისა და ამ წარმოდგენით გათამამებული შლას დაუწყებს ეროვნულ ჩვეულებათა! საუკუნეთაგან გაკაჟებულ იდეალებს, ხალხის ჩვეულებათა მტკიცე კედლებს ის ვერ დაარღვევს თავისის პატარა თავის შეხეთქებით და თავუნა-კი ტყუილ-უბრალოდ უსათუოდ გაიხეთქ!

ასე და ამ ნაირად, ხალხურ ზნე-ჩვეულებათა წინააღმდეგ „ნასწავლ-კაცების“ გამოლაშქრება მიზანსაც ვერ მიაღწევს და თან საზარელ ბოროტებას სთესავს: ხალხს ტყუილა უბრალოდ აძულებს იმ ჩვენს ჯერ კიდე პატარა ნაწილს ინტელიგენციისას, რომელიც უნდა იყოს „მორალი სოფლისა“, რომელთა წინამძღოლობითაც უნდა გამაგრდეს და გაიფურჩქნოს ჩვენი ერთობა, ჩვენი წინსლვა და ეროვნული განვითარება. მაგრამ უმწარესი ნაყოფი ასეთი უგნურებისა კიდევ ის არის, რომ „ნასწავლ კაცებთან“ ერთად ხალხს შესძულდება თვით სკოლა, ეს აკვანი ჩვენის ეროვნების აღზრდისა გასავაჟკაცებლად, შესძულდება თვით სწავლა, ზურგს შეაქცევს განათლებასაც, მოსწყდება განათლებულ წრეებს და იქნება სამუდამოთაც ჩასტეხოს ამათთან შემაერთებელი ხიდი. ასეთი დიდი ძალა აქვს ხალხში ეროვნულ ჩვეულებათ: ყველაფერს დასთმობს ხალხი—თავისუფლებასაც კი, მაგრამ ზნე-ჩვეულებათა ვერ დასთმობს, სჯულიც შეიძლება დასთმოს და არ დასთმობს კი ზნე-ჩვეულებათა, ეროვნულ თავისებურებას. ამიტომ არის ხალხს რომ გამოუთქვამს მსოფლიო სიბრძნე — „ჩვეულება სჯულზე უმტკიცესიაო“. თავისებურებათა დათმობა—გადაგვარებაა, ეროვნული სიკვდილია, თავისი თავის უარყოფაა. ამას გლეხის გული გრძნობს თუნდაც გულს გონება ვერ უსწორებდეს, ვერ სწვდებოდეს, მაღალი კითხვების წინ კაცი გულს უჯერებს, გრძნობას ენდობა, გონებას კი აჩუმებს, ამუნჯებს.

ამიტომ არის, რომ ქართლში გლეხსა და ნასწავლ-კაცებ შუა ხიდი ჩატეხილი თუ არ არის, დიდათ დასუსტებული მაინც არის, როგორც ეს კარგად სჩანს ზემო მოყვანილ მაგალითიდან.

ქრისტეს მოციქულებს ღრმათ ესმოდათ ასეთი ხალხური ფსიხოლოგია და ეს იყო მიზეზი, რომ ქრისტეს მქადაგებელნი ხალხის ზნე-ჩვეულებას (ცრუმორწმუნოების გარდა) არ შლიდენ, ხალხის ჩვეულებას ითმენდენ. მაგალითად, რადგან ლათინელ ქურუმები განზე თმას იპარსავდენ, ამის გამო მოციქულებმა გაქრისტიანებულ ლათინებს წვერ-ულვაშ მოპარსული მღვდლები დაუყენეს, რადგან ხალხს ვერ წარმოედგინა, თუ გაუპარსავ მღვდელს მადლი და სიწმიდე ჰქონოდეს. აღმოსავლეთის ქვეყნებში-კი ქრისტეს მოძღვრების მქადაგებელმა დასმა მღვდლების წვერიანობა დააწესა, რადგან ხალხს ვერ წარმოედგინა უწვერო მღვდელი წარმართულ წვერიან ქურუმების მიხედვით.

ჩვენმა ინტელიგენციამ ღრმად უნდა შეიგნოს ასეთი მნიშვნელობა ხალხურ ჩვეულებათა და თავის თავს ნება არ მისცეს ამხედრდეს მათ წინააღმდეგ კრიტიკით, დაცინვით და აგდებით. ვისაც უნდა ხალხში გავლენა მოიპოოს, ყველაზე უწინ მას უნდა დაანახოს, რომ ის პატივისმცემია ერის ზნე-ჩვეულებათა, ეროვნულ იდეალებისა და თვითონაც ერის ჩვეულებათა უნდა იცავდეს.

სამწუხაროდ არა თუ სოფლის „ნასწავლ-კაცები“, არამედ თვით ჩვენი პრესა გაზეთების ფურცლებზე ხანდისხან გამოაპრტყვენენ ხოლმე უგნურს დევნას ხალხურ ჩვეულებათა წინააღმდეგ. განსაკუთრებით იკლებდენ და იკლებენ ქართლ-კახეთის ვითომ ცრუმორწმუნოებაზე დაფუძნებულ ეროვნულ ჩვეულებათა ის კაცუნები, რომელთაც თვითონ ნახევრად გადაგვარებულან და არ იცნობენ თავის ერს, არც მის კულტურას, არც მის ზნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიყვარს. მაშ რაღათ გვძულს ახლობელნი? რუსეთის გარეშე გვიყვარს,—შიგ რუსეთში კი გვძულს. ყველანი გვებრალებიან ებრაელების გარდა. თუ ასე განვაგრძეთ, ნდობას დავკარგავთ და გვეტყვიან:

— თქვენ გიყვართ შორიდან. თქვენ სტყუით!

ჩვენ—კი გვჯეროდა რომ ძალა სიმართლეში იყო. გვსურდა სიმართლეს დაეთრგუნა ძალა. და თუ ეს კვლავ გვსურს, ნულა ვიტყუებთ, ნუ შევასუსტებთ სიმართლეს ძალის წინააღმდეგ.

დავიწყოთ ებრაელებიდან და ნუ დაივიწყებს დაჩაგრული ხალხი, რომ თავისუფლების მინიჭება შეუძლია მხოლოდ თავისუფალ რუსეთს.

(რ. ვ.). **დ. მერეჟკოვსკი.**

## გერმანიის ფინანსთა მინისტრი და მშრომელთა კულტურა.

უმაღლესი სულიერი კულტურა: პოეზია, თეატრი, ფილოსოფია, მეცნიერება ყოველთვის, ყველა ეპოქებში დღემდე გაბატონებულ კლასების, „რჩეულთა“ ჯგუფების ხვედრი იყო. ხალხი, ფართო მასა კი მუდამ მოწყვეტილი იყო მის სფეროს და ცხოვრების ფსკერზე ფუსფუსობდა, აუტანელ შრომას ეწეოდა, რომ „რჩეულთ“ შეუშფოთებლათ განეგრძოთ „ღმერთებთან“ ტკბილი მუსაიფი და ნეტარების ნექტარს თავდავიწყებით დასწაფებოდენ. ასე იყო დღემდის, უმეტესს შემთხვევაში ასეა დღესაც.

„მაგრამ შრომის ყოფიერება უმაღლეს წერტილამდე ავიდა, რამაც ხალხი მაღლა ასწია და შესაძლებელი გახადა, რომ მშრომელი მასსა ეზიაროს იმ „მაღალ მშვენიერების კულტურას, რომელსაც დღემდე მარტო გაბატონებულთა „რჩეულნი“ ეწაფებოდენ. დიახ, შესაძლებელი გახადა ყველა ეს, მაგრამ გაბატონებულთ როდი სურთ, რომ ხალხი მაღალ კულტურას სავსებით დაეწაფოს; ამიტომ ისინი ცდილობენ, რომ იგი მხოლოდ ამ კულტურის ნამცეცებითა დააკმაყოფილონ და რამდენათაც შეიძლება, ისიც ისეთი ნამცეცებით, რაც ხალხს „ჭკუაზე“ დააყენებს და მათ მორჩილებაში ამყოფებს. ამას ცდილობენ ისინი, მაგრამ ხალხის ძლიერ მოთხოვნას ვერ უარყოფენ და იძულებული ხდებიან ამ ფაქტს ანგარიში გაუწიონ.

ომიანობის პირობები საზოგადოთ და მით უფრო დღევანდელი მსოფლიო ომი უდიადესი ისტორიული ძალაა, რაც ამ გაბატონებულ და მათ მთავრობებს ძალას ატანს და ნებით თუ უნებლიეთ აფიქრებს, რომ მათ ხალხის მოთხოვნებს ანგარიში გაუწიონ, ვინაიდან ომში გამარჯვება მხოლოდ ხალხითა და მისი საშუალებით არის შესაძლებელი; უკმაყოფილო ხალხი კი დამარცხების მომასწავებელია. ამიტომაც ყველა მეომარ სახელმწიფოების მთავრობები იმის ცდაში არიან, რომ როგორმე ხალხი საქმით თუ არა, სიტყვით მაინც, მოიმადლიერონ და თავისი ბედით კმაყოფილი ამყოფონ სამუდამოთ თუ ვერა, ამ ომიანობის დროს მაინც.

მაშ რით აიხსნება, თუ არა ამით, გერმანიის ფინანსთა ახალი მინისტრის, გელფერიხის, შემდეგი სიტყვები: „სადაც ხალხის ფართო მასა იძულებულია მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოდ ლუკმა პურის მოპოვებას შეალიოს, იქ ხელოვნებისა და მეცნიერების ნაზი-ნარნარი ყვავილის სურნელება—ნექტარი „განსაზღვრულ წრეების მხოლოდ რჩეულთა“ ხვედრს შეადგენს.

სულიერი კულტურა საერთო, სახალხო წილ-ხვედრი მხოლოდ მაშინ შეიძლება შეიქნეს, როცა ქვეყნის მეურნეობა იმდენათ ნაყოფიერია, რომ ფართო მასას ბლომათ შემოსავალს აძლევს და მშრომელი კლასი იძულებული არაა მთელი თავისი ძალღონე მარტო საარსებო პურის შოვნას შეალიოს...

რასაკვირველია, განაგრძობს მინისტრი მეხუთეთ გამოცემულ წიგნში, რომელსაც „1888—1805 წლების გერმანიის სახალხო კეთილდღეობა“ ეწოდება—ესეც ცოტას არ ნიშნავს, რომ ტეხნიკისა და საწარმოვო საშუალებათა გაუმჯობესება და მასთან ერთათ სახალხო მეურნეობის ორგანიზაციისა მილიონობით ხალხს იმდენ შემოსავალს აძლევს, რომ უდეფიციტოთ ის ადამიანურ არსებობას ახერხებს. მაგრამ ამაზე უზომოთ მეტი მნიშვნელობა ამ მოვლენას მაშინ მიეცემა, თუ რომ ეს სახალხო სამეურნეო შრომის ზრდა-ნაყოფიერება გზას უხსნის მილიონობით ხალხს ცხოვრების უმაღლეს სიკეთისაკენ“-ო.

ასე ამბობს მინისტრი, მაგრამ როცა საქმე გერმანიის სახალხო მეურეობის კარგა ბლომათ შემოსავლის მოხმარება—განახლებას ეხება, მაშინ ის ზემოაღნიშნულ ლამაზათ თქმულს ივიწყებს და გადაჭრით აღნიშნავს, რომ „გერმანიის მთელი ზედმეტი შემოსავალი, რომელიც 1913 წ. 10 მილიონამდი შეადგენდა, ყოველთვის სრულიად იბანდება და შემდეგშიაც მხოლოდ შემოსავლიან წარმოებაში უნდა დაიბანდოსო; აქ, როგორც ხედავთ, „ხელოვნებისა და მეცნიერების სურნელოვანი ყვავილი“ სულ აღარ იხსენიება.

ჩანს, გერმანიის მინისტრები ჯერ-ჯერობით ხალხის დაკმაყოფილებას ცარიელი სიტყვებით ცდილობენ; მაგრამ, როგორც ვიცით, გერმანიის ხალხი დღეს იმ ასაკში როდი იმყოფება, როცა ადამიანის დაკმაყოფილება ცარიელი სიტყვებით ანუ მოტყუებით შეიძლება. ის უკვე იმდენათ მომწიფდა, დავაჟკაცდა, რომ იგი დღეს დამოუკიდებელ სულიერ კულტურის შექმნასაც კი ლამობს. ის ამ მხრით ბატონთა ნასუფრალით აღარ კმაყოფილდება და საკუთარ ხელოვნებასა და მეცნიერებას ჰქმნის. ამის აშკარა დამამტკიცებელია ის ფაქტი, რომ ამ ნამდვილ ხელოვნების ტაძარს აშენებს.

წელს ბერლინის ახალს საუკეთესო უბანში ხალხმა თავისი საკუთარი საშუალებით და მეცადინობით ააგო ხელოვნება—სცენის, სასახლე—თეატრი, რომლის მსგავსი მშვენიერებაც მეორე არ მოიძებნება დედამიწაზე და რომელიც ერთბაშათ 2,000-ზე მეტ მაყურებლებს იტევს.

ამ თეატრის დაარსების ისტორია გრძელია და თან მეტათ საგულისხმოც. ის ნათლათ გვიხატავს იმ პროცესს, თანამედროვე მასსა როგორ თანდათან ებმება კულტურულ მუშაობაში და სულ უფრო და უფრო მეტ ღირებულობას ჰქმნის არა მარტო საქონლისას, არამედ ხელთუქმნელ მშვენიერებისასაც.

აი, ეს ისტორიაც:

1895 წლის მარტში ახალგაზდა მწერალთა და მსახიობთა ჯგუფმა ბრუნო ვილლეს მეთაურობით დაარსა საზოგადოება სახელწოდებით: „თავისუფალ სახალხო სცენის საზოგადოება“.

ეს ის დრო იყო, როცა გერმანიის ხელოვნება „მისიური იდეით“ იყო გამსჭვალული. ამიტომ, ზემოხსენებულ საზოგადოებას ბუნებრივათ დაებადა აზრი, რომ ხელოვნება დაუახლოვოს იმ მასას, რომელიც მისი შემოქმედების საგანსა და შინაარსს შეადგენს. ჰაუპტმანის, იბსენის და ზოგი კიდევ სხვა მწერლის სოციალური დრამების დადგმამ საზოგადოებას ბერლინის მუშების თანაგრძნობა მაინც მოუპოვა და ამ დღიდან მუშები ამ საზოგადოებაში ბლომათ ჩაეწერენ. ორი წლის განმავლობაში საზოგადოება დიდათ გაიზარდა, შიგ შედგენილობის სხვადასხვაობამ უთანხმოებაც დაბადა და ორათ გათიშა ის; მიუხედავათ ამისა ის მაინც განაგრძობდა წინ სვლას და 1912 წელს წევრთა რიცხვი ორივე საზოგადოებისა 70 ათასამდე ავიდა. თითქმის ყველა ესენი ბერლინის მუშები არიან. სწორეთ ის მასა, რომლისთვისაც გერმანიის ფინანსთა მინისტრი სიტყვით მაინც ხელოვნების მშვენიერ ყვავილის სურნელებას არ იშურებს.

წლევანდლამდე ეს საზოგადოება იჯარით იღებდა ბერლინის სხვადასხვა ადგილას სათეატრო სცენას, სადაც საზოგადოების მსახიობთა გუნდი თვის განმავლობაში სხვადასხვა წარმოდგენებს მართავდა იმ ანგარიშით, რომ თვითეულ წევრს საზოგადოებისას უფასოთ თვეში ერთხელ მაინც შესძლებოდა დასწრება. ერთი სიტყვით, წევრს შეჰქონდა საზოგადოებაში გადასახადი იმ მიზნით, რომ იგი თვეში ერთხელ მაინც დასწრებოდა წარმოდგენას. ეს კი ნამდვილი კოოპერატიული თეატრია.

აღგენენ ამხანაგობას იმ მიზნით, რომ სათეატრო ხელოვნების მოთხოვნილება დააკმაყოფილონ. წლიური გადასახადი სულ ხუთიოდე მანეთს უდრიდა, რომელსაც მუშები თვიურათ იხდიდენ, დაახლოვებით თვეში 40—50 კაპეიკამდე.

ხალხისა და მხატვარ-მსახიობების თავისუფალ შეთვისება-გაერთიანებას ამ სარბიელზე მეტათ ნაყოფიერი შედეგი მოჰყვა:

სათეატრო დირექცია არ იყო იძულებული, როგორც ეს დღევანდელ ჩვეულებრივ თეატრებში ხდება ხოლმე, სათეატრო კრების მდგომარეობით იხელმძღვანელოს და რეპერტუარი მისი მიხედვით შეადგინოს. აქ იგი მხოლოთ პიესების მხატვრული ღირებულებით ხელმძღვანელობდა, ამიტომაც უაზრო და გარყვნილ წარმოდგენების ნაცვლათ, ბერლინის თეატრებში დაიწყეს ნამდვილ მხატვრული და ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუშების დადგმა, რამაც ხალხი მიიზიდა, დააკმაყოფილა მისი მხატვრული მოთხოვნილება და გემოვნება გაუკეთილშობილა, რისთვისაც იგი ასე ხელიდებით შეურთდა საზოგადოების ინიციატორთ, რომლებთანაც ერთად შემდეგში განაგრძო მოქმედება და ახლა თავის ღვიძლ საქმეს თვითონ ჩაუდგა სათავეში. სწორეთ ამ მუშათა მასის მეთაურობით გადაწყვიტა ხსენებულმა საზოგადოებამ ამ სამი წლის წინათ, რომ წევრებს ერთდროული საჩქარო გადასახადი შემოეტანათ და საამშენებლო თანხა შეედგინათ; და მართლაც სამი წლის განმავლობაში ერთი მილიონი მარკა შეაგროვეს (ნახევარი მილიონი მან.) მიმართეს მთავრობასაც, ბერლინის ქალ. გამგეობასაც დახმარებისთვის, მაგრამ, როგორც ანგარიშიდან ჩანს პირველისაგან ვერაფერი მიიღეს, ხოლო მეორისგან, როგორც იყო, მხოლოთ ერთი მილიონი „იპოტეკა“ იშოვა.

ამნაირათ მუშებმა საკუთარი საშუალებით, მინისტრების და სახელმწიფო ფინანსების დაუხმარებლათ შეჰქმნეს ხელოვნების ისეთი სასახლე, რომლის მსგავსი ისტორიამ არ იცის და რომლის მშვენება კაცობრიობას მომავალ კულტურის საუცხოვო ნიმუშია!

**დ—ელი.**

ჩვეულებათა და არც ამის ავან-ჩავანს. ამ საწყლებმა მართლა დიდი განხეთქილება შემოიღეს ინტელიგენციისა და ხალხის შუა. რადგან გლეხობას სხვა ღონე არ ჰქონდა (ხალხის ჩვეულებათა დამცველებს საპასუხო წერილებს არ უბეჭდავდენ რედაქტორები). ამ საცოდავ, ვითომ ნასწავლ კაცებს, ხალხმა გასცა პასუხი ზიზღით, [illegible] დუმილით, წყევლა-კრულვით, თვით პრესის სიძულვილით... ბეჭდურ სიტყვას ხალხში სახელი გაუტყდა, გაზეთებს და წიგნაკებს სოფლელები გაურბოდენ და მკითხველებს ჩვენი პრესა ფართო წრეებში ვერ შოულობდა.

დღესაც მდგომარეობა თითქმის არ შეცვლილა, ქართლ-კახეთში მაინც. დაბალ წრეებში დღეს გაზეთებს ეტანებიან ქალაქებში დაფანტული ქართველი მუშები და კითხულობენ უფრო ისეთ გაზეთებს, რომელიც მათს გემოზე არის დაწერილი.

ერის განვითარებისთვის ეს დაშორება ხალხისა ინტელიგენციისაგან უთვალავი ბოროტების წყაროა.

დროა ღრმათ ჩავაკვირდეთ ამ საკითხს და დაკარგული სწორე გზა მალე უნდა მოვძებნოთ. დიდი უბედურობა იქნება პარტიული ანგარიშები გამოგვქონდეს იმ საშინელ დროს, როდესაც ჩვენი მტრების ხელები მაგრა ჩასჭიდებია დასახრჩობად ეროვნულს ჩვენს ყანყრატოებს და თვალთმაქცობაში დახელოვნებულნი ფეხქვეშიდან ტერიტორიას გვაცლიან, გულში ეროვნებისადმი სიყვარულს გვკლავენ, გონებას გვირყვნიან, რომ გზა დაგვიკარგონ, უძირო კლდეებამდი მიგვრეკონ და იქით უფსკრულში გადაგვყარონ, ჩვენი ძველი კულტურა მოგვტაცონ, ახალს ხელი არ მოგვაკიდებინონ, მოგვიშალონ ჩვენი განთქმული ეროვნული კულტურა, დამამშვენებელი და გამაპოეტებელი ხალხის ცხოვრებისა, ერის გენიოსობით მრავალ საუკუნოებით შექმნილი, რომლის მსგავსი სულიერი დაწესებულებანიც არც ერთს ქვეყნის ერს არ აბადია; თვით პირველ საუკუნეთა ეკლესიაში თავისი კონდაკი შემოიტანონ და მოციქულთა კათედრაზე დასხან უცხოთელნი, ჩვენი საუკუნეებით შეგროვილი ფასდაუდებელი საქრისტიანო სიწმიდეები და სასულიერო კულტურის ნაშთები გააზიდვინონ უცხო ქვეყნებში ჩვენდა დასამხობად და თავისი თემის გასადიდებლად—ამისთანა დროს, ამ სამტირალო დროს, ყოველი მიმართულების ქართველი კაცი ერთი გრძნობით და უნდა გაიმსჭვალოს: როგორც ერთი კაცი, ისე შეერთდეს, გაგმირდეს, გაკაჟდეს, გონება მოიკრიფოს სხვა ყველაფერი დაივიწყოს და თავდაპირველად ის ხელი მოიშოროს, რომელიც დასახრჩობად ყელს გვიჭერს, ჩვენს თავისებურებას, ჩვენს კულტურას, ჩვენს სულიერს არსებას სიკვდილს უმზადებს, ხოლო ხორციელად—გაკოტრებას, გაღატაკებას, დამონავებას.

ჩვენმა მოდგმამ გამოიარა ორასი საუკუნის გძელი მანძილი და მათის ცხოვრების ისტორია სასახელოა, გმირების ისტორიაა. დღეს სულ სხვა გმირობაა საჭირო—კულტურული ბრძოლა თვალთმაქცობასთან, სულიერ მტარვალობასთან, მექიშპეებთან, მატყუარებთან, სულიერ ავაზაკობასთან. ამიტომ დღეს სულ სხვანაირი გმირები გვჭირია: გმირები ერთობისა, გმირნი გონებისა, დაუძინარი მხნეობა, თანამედროვე ხელოვნება. აი, ასეთს გმირებს უყვარს საერო ჩვეულებათა დამცველის აკაკის ბუკი და ნაღარა.

შემდეგს წერილში მოკლედ შევეხებით იმას, თუ რა უსაბუთობით ჩვენი ნახევრად გადაგვარებული სოფლის ვითომ ნასწავლი კაცები უარყოფენ ზოგიერთს ხალხურ ჩვეულებას. ამათ ჭეშმარიტად „არ იციან, რასაცა იქმან“, და მეც ილიასებრ შევკივლებ მათ: „რას სჩადიხართ“!...

**თ. ჟორდანია.**

## რუსული პრესა.

პოლონეთის სამოქალაქო თვითმართველობებში პოლონურ ენის შემოღებაზე—„ნოვოე ვრემია“ სწერს:

„პოლონელების დაჟინებითი მოთხოვნა პოლონეთის საქალაქო თვითმართველობათა ნაციონალიზაციის შესახებ სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა. 87 მუხ. წესით სახელმწიფო სათათბიროს რედაქციით გავიდა კანონპროექტი, მიუხედავათ იმისა, რომ სახელმწიფო საბჭოს მემარჯვენე ჯგუფი დიდი წინააღმდეგი იყო პოლონეთში ქალაქის თვითმართველობებში პოლონურ ენაზე საქმეების წარმოებისა.

დღეს ეს კანონიერი უფლება პოლონელებისა დაკანონდა და ცხოვრებაში განხორციელებული იქნება.

იწყება ახალი ხანა პოლონეთის განახლებისა.

„ბირჟ. ვედ“. ამის შესახებ სწერს: „ახალი კანონის უმთავრესი ღირებულობა ისაა, რომ იგი აღიარებს პოლონური ენის უფლებას საქალაქო თვითმართველობებში. ეს მოვლენა, როგორც ტეხნიკურათ, ისე პსიხოლოგიურათაც მრავალმნიშვნელოვანია პოლონეთის საზოგადოებრივი განვითარებისთვის. ეს პირველი ნაბიჯია გადადგმული იმ დაპირების აღსრულებაში, რომელიც ომის დაწყების წინ პოლონელებს აღუთქვა უზენაესმა შეურყეველმა ავტორიტეტმა.

## სამგლოვიარო წერილი.

(აკაკის გარდაცვალების გამო).

**ბრძოლის ველიდან.**

შორს ჩრდილოეთით მტრის ცეცხლში გახვეული ქართველებს თავზარ დამცემი ამბავი მოგვიტანეს რუსულმა გაზეთებმა: „გარდაიცვალა ქართველი პოეზიის მეფე **აკაკი**“-ო;

აუწერელია ჩვენი მწუხარება ასეთი ამბით; მწუხარება მით უფრო გვიორკეცდება, რომ ამ მსოფლიო ომში გახვეული ჩვენი სამშობლო ღირსეულათ ვერ შეასრულებს თავის მოვალეობას სულმნათ პოეტის წინაშე...

ჩვენს მწუხარებას ვუერთებთ ქართველთა ერის საერთო მწუხარებას.

ამხანაგობის მონდობილობით, პლატონ ლეჟავა, ნიკოლოზ აბდუშელიშვილი და პოლიკარპე რობაქიძე.

— —

**ვარლამ გელოვანის გარდაცვალების გამო.**

სულითა და გულით ვგლოვობ ძვირფასი **ვარლამ გელოვანის** უდროვოთ დაკარგვას, რომელმაც პირველათ საჯაროთ აღიარა და დაიცვა მშობლი ერის კანონიერი უფლებები, რომელმაც სოციალის გამბედაობით იბრძოლა თავის მოვალეობის შესასრულებლათ,—გარშემო ატეხილ განგაშს არ შეუშინდა... და ამ საერთო მსოფლიო ომის დროსაც პირველმა თავზე იდვა მძიმე მოვალეობა, რითაც დაგვიმტკიცა მოყვასის სიყვარული.

ვწუხვარ, რომ არ შემიძლია ჩემ თანამოაზრეებთან ერთად მწარე ცრემლები დავაფრქვიო ძვირფას ვარლამის ცხედარზე.

მშვიდობით განისვენე დაუღალავო მშრომელო ადამიანო, საუკუნოთ იქნება ხსენება შენი!

**პლატონ ლეჟავა.**

## ახალი ამბავი.

ინჟინერი ქურდიანი ნაქურალაშვ... დან უკვე დაბრუნდა და ... მგზავრა.

✦ ქუჩების სახელის დამრქმევი კომისია ქალაქის ახალ პლანზე ქუჩების აღნიშვნას უკვე შეუდგა.

✦ ხვალ, 3 აპრილს, ქალაქის თეატრში გაიმართება ორი ლექცია. ჩიტო შარაშიძის ქალი წაიკითხავს ეგნატე ნინოშვილი და მისი შემოქმედება“. ტ. მარგველაშვილი წაიკითხავს: „მეორე პუნიკური ომი და მისი მნიშვნელობა ხმელთაშუა ზღვაზე კულტურის სფეროში“.

✦ სამშაბათს, 31 მარტს, ქალაქის თეატრში გაიმართა ნ. ჩხიკვაძის სალიტერატურო სალამო.

✦ ქუთაისის ქალთა საზოგადოების კრება შესდგება ხვალ, 3 აპრილს.

✦ გადამდები სენით ავადმყოფობა ამ ჟამათ აღარ არის.

✦ 31 მარტს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგა სამეურნეო კომისიისა და სანოვაგის მომწყობი კომისიის შერთებული კრება ვაჭრებზე ვაგონების განაწილების შესახებ.

✦ საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკის წევრთა წლიური კრება 26 აპრილისათვის გადაიდვა.

✦ ქალაქის საბჭოს მორიგი კრება დანიშნულია 13 აპრილისათვის.

✦ მაისის პირველი რიცხვებში ქ. თფილისში გამოვა ყოველდღიური ახალი ქართული გაზეთი.

✦ ქუთაისის გუბერნატორი კვლავ აგონებს ქალაქის გამგეობას, რომ დაუჩქაროს „საძმო სასაფლაოს“ მოწყობა.

✦ როგორც დ. ცაგერიდან გვწერენ იქ მეტად გავრცელებულა ქურდობა, რის გამოც მცხოვრებლები დიდ გაჭირვებაში იმყოფებიან.

✦ ბაზრის ზედამხედველმა ი. გელოვანმა ოქმი შეუდგინა ჰავჰავაძის ქუჩაზე ყასაბ იოსებ ყიფიანს თავის საყასბოში საქონლის დაკვლისათვის.

### თეატრი.

დღეს ქალაქის თეატრში მსახიობი მიშა გელოვანი მართავს რუსულ წარმოდგენას, წარმოდგენილი იქნება მხიარული კომედია ალექსანდროვისა „ვემრიელი ლუკმა“, ამ წარმოდგენაში გარდა ქართველ მსახიობებისა მონაწილეობს ადგილობრივი საუკეთესო სცენის მოყვარეები.

ბ-ნი გელოვანი ფიქრობს მოსკოვში გაემგზავროს, სასცენო ხელოვნების შესასწავლად.

მეორე წარმოდგენას გამართავს ქართულად. იმედია, ჩვენი საზოგადოება მეტის ყურადღებით მოეპყრობა ახალგაზდისა და ნიჭიერი მსახიობის სურვილს და მხარს დაუჭერს მის ასეთ დასაწყისს.

— —

შაბათს შესდგება გასტროლი ნინო ჩხეიძის ასულისა, მზადდება ცნობილი ტრაგედია ებრაელთა ცხოვრებიდან „ივდითი“, ჩვეულებრივს ფასებში.

— —

ამხანაგობის რეჟისორი ბ-ნი ანდრონიკაშვილი გაემგზავრა თბილისში, რათა დააჩქაროს საცენზურო კომიტეტში და მთავარმართებლის სამართველოში ახალი პიესის „იუდას მემკვიდრის“, ნებართვა, რომელსაც ჩვენი დასი ახლო მომავალში დასდგამს.

## ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ.

ჩვენ ქუთაისის ქალთა საზოგადოების გამგეობამ დავადგინეთ, აკაკის ფონდის შეკრება, ძეგლის ასაგებათ ქ. ქუთაისში და უფასო სასადილოს გახსნა სათადარიგო ჯარისკაცთა ბავშვებისათვის. ამ კითხვების გასარჩევათ და დასამტკიცებლათ, გამგეობამ ამასწინათ 8 მარტს დანიშნა საზოგადო კრება, მაგრამ, ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო, იგი გადადებულ იქნა შემდეგისათვის, ე. ი. 3 აპრილისათვის. აქვე მეტათ არა ვთვლით მოვახსენოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ გამგეობამ უკვე აღმოაჩინა დამხმარე წყარო, სასადილოს გახსნის თანხისათვის (გუბერნატორი დახმარებას გვპირდება, თუ კი საჭირო იქნება ხალხისათვის); ასე რომ ჩვენ მხოლოდ თავობა და შრომა გვჭირია. რაც შეეხება აკაკის ძეგლისათვის ფონდის დაარსებას, ეს კი უნდა იკისროს მთელმა ქუთაისის გუბერნიამ. თუ 3 აპრილის კრება მიიღებს ზემოხსენებულ საკითხებს, მაშინ არჩეულ

სავაჭრო სახლი
## ძმ. კუზანოვების
ქუთაისში.

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ცნობილი აბრეშუმის თესლის ფირმის „ეკონომიდის", ამით აუწყებს მეაბრეშუმეებს, რომ თესლი უკვე მივიღეთ და ვყიდით ხელსაყრელ ფასებში, პარტიობით და წვრილათ.

სამართლიანი სავაჭრო სახლი და კოლონ. საქონლის
ტ. ლ. ბასილაძე და ა. მ. კილასონია
ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩაზე.

თესლი შემოწმებულია თფილისის საბრეშუმო სადგურის მიერ. მიაქციეთ ყურადღება კოლოფზე თეთრ ბანდეროლს. 15—2

იქნებიან გამგეობის გარეშე უფასო სასადილოს გამგე მომწესრიგებელნი 15 ქალი საზოგადოებისაგან: აგრეთვე 6 ქალი, —რომელნიც დახმარებას გაუწევენ გამგეობას აკაკის ფონდის შეკრებაში და—ხაზინადრათ მამაკაცი.

სასურველია, ამ ფრიად საგულისხმო საკითხების გარჩევაში მონაწილეობა მიიღონ როგორც წევრმა ქალებმა, ისე არა წევრებმაც, და მამაკაცებმაც.

ქ. ქალთა საზოგადოების გამგეობა.

## კოოპერატორის შენიშვნები.
**(წერილი რედაქციისადმი*).**

„სამშობლო"-ს № 43-ში მოთავსებულია ბ-ნ ა. გორგაძის წერილი. ბ-ნ გორგაძეს აინტერესებს, თუ „რად დაიხურა კოოპერატიული ფურნე, რომელსაც საკმარისი თანხა ქონდა, სად გაქრა „პროგრესის მაღაზია", რა ქონება დარჩა წიგნების გამომცემელ ამხანაგობას და სად არის ეს ქონება. ესეები თუ არ გამოირკვა, საეჭვოთ მიმაჩნია, რომ ბ-ნ ტ. ჯაფარიძის ფრიად სიმპატიურ აზრს შესახებ კოოპერატიული ფურნის გახსნისა ბევრი თანამგრძნობი გამოუჩნდეს".

ბ-ნ გორგაძეს აკვირებს აგრეთვე ის გარემოება, მღვდ. ხუნდაძის წერილს ამავე საგნის შესახებ რატომ არავინ გამოეხმაურა.

პირადათ მე, როგორც კოოპერატორს, სრულებით არ მაკვირებს ეს გარემოება და ამ წერილს მხოლოდ იმიტომა ვსწერ, რომ გამოვაქვეყნო ჩემი დამოკიდებულება ასეთი წერილებისა და მათი ავტორებისადმი.

გულწრფელად ვაღიარებ, რომ ასეთ პირობებში გასაკვირი იქნებოდა სწორედ, რომ—ბუნებრივ, თუ არა ბუნებრივ კანონების მეოხებით—რომელიმე დახურულ „კოოპერატივს" დღემდი შეენარჩუნებია თავისი არსებობა. სიტყვა კოოპერატივს ბრჭყალებში ვსვამ იმიტომ, რომ ვერ წარმომიდგენია ნამდვილ კოოპერატივათ არც ერთი ის „ამხანაგობა", რომლის წევრებსაც მხოლოდ მაშინ აგონდებათ დახურული საზოგადო დაწესებულების ბედი, როცა ახალ კოოპერატივებზე იწყებენ ლაპარაკს, და აგონდებათ არა იმიტომ, რომ ამ ახალ კოოპერატივთა ხელმძღვანელებს რაიმე გამოცდილება შესძინონ, არამედ იმიტომ, უნებლიეთ, რომ კიდევ უფრო აუცივონ ხალხს გული კოოპერატიულ დაწესებულებებზე. რაც შეეხება „პროგრესის მაღაზიასა" და იმ საზოგადოებას, რომელსაც ამ ათიოდე წლის წინათ ქუთაისში გაუხსნია ბ-ნ პურადაშვილისა, ლ. ჩიმაკაძისა და სხვათა თაოსნობით ფურნე, უნდა აღვნიშნო, გაკვრით, რომ ჩემ მიერ მოგროვებული ცნობებით „პროგრესის მაღაზიასა და ფურნეს თავის არსებობის წლებში დიდი სამსახური გაუწევია ქუთაისის მცხოვრებთათვის—პურზე თუ სხვა მოსახმარ და საოჯახო საქონელზე ნორმალური ფასების დამყარებით მათ რამდენიმე ათი ათასი მანეთი შეუნარჩუნებია არა მარტო თავის წევრთათვის, არამედ მთელი ქუთაისის მცხოვრებთათვის. დახურულა ეს ფურნე და გამქრალა „პროგრესის მაღაზია" უფრო წევრთაგან დამოკიდებულ მიზეზების გამო. ხელმძღვანელებს ამ საქმეში არავითარი ბოროტმოქმედება არ მიუძღვით. მათ ახლაც გულს უთუთქავს მხოლოდ ის, რომ საზოგადოება—ჯეროვანი მოუმზადებლობის გამო—გულგრილად მოეპყრო ამ დაწესებულებებს (საქმე ფულის შემოტანაში მარტო როდია, ბატონებო!).

ბევრი მათგანი არც კი მიკარებია „კოოპერატიულ" ფურნესა თუ მაღაზიას, თავი მოაქვთ მხოლოდ იმით, რომ საწევრო თუ საპაიო ფული შეიტანონ კოოპერატივში; არ ესწრებოდენ საზოგადო კრებებს, სადაც წყდებოდა საერთო საქმის ბედი, არ ეცნობოდენ საზოგადოების წესდებას და ასეთ პირობებში განა შეიძლებოდა კოოპერატიული ამხანაგობის არსებობა?! რასაკვირველია არა, და კი დეც დაიხურა ყველა ასეთი „კოოპერატივები".

დღევანდელმა პირობებმა კვლავ წამოაყენეს კოოპერატივების დაარსების აუცილებელი საჭიროება. არსდება ახალი საზოგადოება „კოოპერაცია". მისი სამოქმედო რაიონია მთელია გუბერნია. მასში უკვე ორასზე მეტი წევრი ჩაეწერა, მათ შორის 15-მდი სოფლისა თუ დაბა-ქალაქების კოოპერატივებისა: მომზადებულია ნიადაგი პირველი ხელიდან საქონლის მისაღებათ. ბევრის გაკეთება შეიძლება საგუბერნიო კოოპერატივის საშუალებით, მაგრამ რომ მასაც არ ეწვიოს ძველი „კოოპერატივების" ბედი, საჭიროა:

1) ყოველი წევრი უნდა გაეცნოს მის წესდებას (დაბეჭდილია ქართულადაც, იყიდება ორ შაურათ; შემოსავალი წესდების 9-ე მუხლის მეორე ნაწილის ძალით, ირიცხება საზოგადოების სათადარიგო თანხაში), რომ კარგათ გაითვალისწინოს მისი დანიშნულება, წევრთა უფლება და სამართველო და საკონტროლო ორგანოთა მოვალეობანი; მიიღონ მონაწილეობა საზოგადო კრებებზე, თვალყური ადევნონ საკოოპერაციო ლიტერატურას, შეისწავლონ კოოპერაციის ძირითადი პრინციპები და არ დაახურდაონ ისინი კაპიტალისტურზე.

2) მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღოს ახალ კოოპერატივში განსაკუთრებით დახურული კოოპერატივების წევრებმა. ისინი უფრო კრიტიკულათ მოექცევიან საქმეს. და თუ თავის კრიტიკაში იხელმძღვანელებენ მეგობრობისა, და არა მტრობის მისწრაფებით, დიდ ღვაწლსაც დასდებენ საკოოპერაციო მოძრაობას.

„დაიწუნე და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარე ყველაფერი, რაც არ მოგეწონოს, მაგრამ მოიქეცი ისე, როგორც მეგობარი, და არა მტერი",—აი დედა-აზრი კოოპერატივის წესდებისა, აი რას მოითხოვს კოოპერატივი თავის წევრებისგან.

3) მტკიცეთ უნდა იქნეს დაცული ყველა წევრისაგან როჩდელის პრინციპები, რომელიც აღბეჭდილია საანგარიშო წიგნაკზე, (ეძლევა, წესდების 9-ე მუხლის ძალით, ყოველ წევრს).

4) საზოგადო კრება უმაღლესი ორგანოა კოოპერატივისა. აქ უნდა ირჩეოდეს მისი ჭირი და ლხინი. წევრებმა უნდა გამოიყენონ თავისი უფლება კრების მოწვევაზე, როცა იგი საჭიროა და არჩეული პირები მას არ იწვევენ. ყოველი საჭირბოროტო საკითხი უნდა ირჩეოდეს დროზე.

ყველა, ვინც კი ჩაეწერა ახალ კოოპერატივში, უკვე გამსჭვალულია აღნიშნული დებულებით. საზოგადოებაში ჩასაწერათ მოეწოდება მხოლოდ ისეთებს, რომელნიც გრძნობენ ამ დებულებათა სისრულეში მოყვანის აუცილებელ საჭიროებას. უნდა ვიმუშაოთ ყველამ, გამოვიყენოთ ყოველივე გამოცდილება, ავირჩიოთ მომქმედი გამგეობა. საზოგადო კრებებზე უნდა გამოვარკვიოთ ჩვენში კოოპერატივების შეფერხებისა და დახურვის მიზეზები, რომ არ იქნას განმეორებული რაიმე შეცდომა. ერთადერთი გზა საკოოპ. მოძრაობის აღორძინებისა თვითმოქმედებაა, და არა კინკლაობა. დიდი გამოცდილების მოცემა შეუძლია ძველი „კოოპერატივების" შეფერხება—დახურვის მიზეზთა გამოკვლევას. მე მოგროვებული მაქვს საკმაო მასალები ამის შესახებ. „კოოპერაციის" მორიგ ნუმერში (№ 30) უკვე იწყება დაწვრილებითი მოხსენების ბეჭდვა „პროგრესი"-ს შესახებ. დახურული ფურნის ხელმძღვანელების მოხსენებაც მზადდება იმავე „კოოპერაციისთვის. ჟურნალი „კოოპერაციის" ფურცლები თავისუფალია ყველასთვის, ვინც კი მოისურვებს რაიმე ობიექტიური ცნობის გამოქვეყნებას ჩვენ საკოოპერაციო მოძრაობაზე. უნდა მოვუყაროთ თავი მასალებს საკოოპერაციო მოძრაობის წარსულის შესასწავლათ და მისი აწმყოსა და მომავლის უზრუნველსაყოფად. ეს უნდა მოხდეს საქმიანობის პროცესში, თორემ ისე კანტიკუნტი გოდებით ვერაფერს გავხდებით.

ახლო მომავალში გაიმართება კრებები, სადაც ყველას მიეცემა საშუალება გამოსთქვას თავისი აზრი აღნიშნულ საზოგადოებებზე. პირადათ მე ყოველივე ზომა მაქვს მიღებული, რომ ყველაფერი ემცნოს ფართო საზოგადოებას. გარწმუნებთ, ბატონებო, რომ ნამდვილ მიზეზებს მხოლოდ მას შემდეგ გაიგებთ. ამ მიზეზების გათვალისწინება აუცილებელი საჭიროა, მაგრამ, ვფიქრობ, ეგ შესაძლო იქნება მხოლოდ საქმიანობის პროცესში. ხანგრძლივი მუშაობისა და დიდი ენერგიის დახარცვა შეიქნა საჭირო ამ პროცესისთვის ნიადაგის მოსამზადებლათ და მეტად სამხიარულოთ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ახალ კოოპერატივში ჩაწერილ 200-ზე მეტ წევრთა შორის უმრავლესობა სწორედ იმ უკმაყოფილოთა პირებიდანაა, რომელნიც რამდენიმე თვის წინათ ამ საკითხზე ისეთსავე აზრს ადგენ, როგორსაც ბ-ნი გორგაძე.

ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ როგორც ბ-ნი გორგაძე, ისე მღვდ. ხუნდაძე და მათთან ერთად ბევრი სხვა უკმაყოფილო ელემენტებიც შემოუერთდებიან ახალ კოოპერატივს, სადაც ისინი უკეთ დაიკმაყოფილებენ იმ „წყურვილს", რომელიც დაუბადა მათ ძველი კოოპერატივების ხვედრმა.

7 აპრილს დანიშნულია ამ ახალი კოოპერატივის დამფუძნებელი კრება. მიიღეთ მონაწილეობა მასში ყველამ. ნუ დაიზარებთ საწევრო გადასახადის—ერთი მანეთის შემოტანას, რომ გადამჭრელი ხმა გქონდეთ ყოველივე საკითხის გადაჭრაში. ნუ გვეტყვით: „დააყენეთ საქმე კარგათ და მერე ჩავეწერებითო". ეს შემცდარი შეხედულებაა. საქმე თვით თქვენვე უნდა მოაგვაროთ, აირჩიოთ მომქმედი გამგეობა და დაიცვათ ის დებულებანი, რომელიც მოყვანილია ზემოთ.

**იასონ გაბილაია.**

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, რომ ბატ. გაბილაიას საშუალება მიეცეს გამოსთქვას თავისი აზრი. **რედ.**

## ღია წერილი
**მალულ ცილისმწამებელს.**

არ ვტოვებ უყურადღებოთ თქვენს უსახელო წერილს, უცნობო, მიტომ, რომ იმყოფებით დიდს შეცდომაში, რომელსაც, შეიძლება, კიდეც ავრცელებთ როგორც ჭეშმარიტებას. გთხოვთ შეიტანოთ დასაბუთებული საჩივარი და მაშინ შეიტყობთ, რომ მე ამა წლის იანვრისა და თებერვლის ჯარის კაცთა გამოწვევა ქუთაისის სამაზრო კომისიაში მონაწილეობა არ მიმიღია, რომ არა მაქვს ცნობა სიმონეთის მამასახლისისა და რომ უსამართლოდ და უმართებულოდ ჩემგან ჯარის კაცთა მიღებას ან გათავისუფლებას ადგილი არასოდეს არ ქონია და არც ექნება. ყოველ შემთხვევაში გირჩევთ, თუ სიმართლის მოყვარე ხართ, გამოჩნდეთ და სინამდვილე შეიტყოთ.

ექიმი **ნ- შენგელაია.**

## თეატრი და ხელოვნება.

**დ. სამტრედია.** ხუთშაბათს, 26 მარტს, დიდიხნის ლოდინის შემდეგ კვლავ ვიხილეთ ქართული წარმოდგენა; ადგილობრივ-სცენის მოყვარეებმა კ. კობახიძის რეჟისორობით წარმოადგინეს ისტორიული 4 მოქ. პიესა აქ. ცაგარლისა „ქართველი დედა".

კ. კობახიძე დიდიხანია ქართულ სცენაზე მოღვაწეობს; მას კარგათ იცნობს სამტრედიის საზოგადოება. ბ. კობახიძე ყოველთვის პირნათლათ ასრულებს ნაკისრ-როლებს, მაგრამ მას არ უვარგა ხმა. და ეს ასუსტებს მის ნიჭს, საჭიროა, მსახიობმა ხმის დამუშავებას ყურადღება მიაქციოს. ამ დღეს მან სავსებით დაგვაკმაყოფილა თავისი თამაშით. (ვახტანგი.) ყოველივე მისი სიტყვა, სამშობლოს სიყვარულით გამოწვეული, ისარივით ხვდებოდა ჩვენს გულს. მას მხარს უმშვენებდა ა. კალაძე (მარინე), რომელიც ხუთ წელზე მეტია, რაც სცენაზე თამაშობს და ამ ხნის განმავლობაში მას დრო ტყვილათ არ დაუკარგავს. მან მშვენივრათ დაასურათა მარინეს როლი, რისთვისაც საზოგადოებამ ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა. აგრეთვე კარგები იყვნენ: გ. სიხარულიძე (ფაშა), რომელმაც როლიც კარგათ იცოდა და კარგათაც ჩაატარა,—მხოლოდ ცოტა მიმოხვრა ზედმეტი ქონდა. ა. სიხარულიძისა,—ეს ცქრიალა წყაროა ჩვენი სცენისა. ამ საღამოს თუ სიტკბოება ბევრი ვიგრძენით, ამაში ამ მსახიობ ქალსაც უდევს წილი. შესაფერათ შეასრულა აგრეთვე თვისი როლი,—ბ-ნ. მ. ქვარცხავამ, (ომარ-ხან), მხოლოდ ცოტა ხმა ნაკლები ქონდა და იმდენ მრისხანებას ვერ იჩენდა რამდენიც საჭირო იყო. კარგი პაპუა იყო აგრეთვე ვ. ცხვედიანი. დანარჩენნიც ხელს უწყობდენ ანსამბლს. ხალხი წარმოდგენას ბლომათ დაესწრო და ნასიამოვნებიც დაიშალა.

**სამ. იმერელი.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბ-ნო რედაქტორო!**

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის რომელიმე მახლობელ №-ში მოგვითავსოთ შემდეგი განცხადება:—ამით ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ სული წმიდის მოფენის დღესასწაული, (აღდგომის ორმოცდამესამე დღეს) რომლის დღესასწაულობაც იცოდენ სოფ. ნახურცილოვს მცხოვრებთ თავის განაჩენით, 8 ივლისიდან 1914 წლის მოსპეს, რომელთა მონდობილობითაც ვაცხადებ, ხსენებულ დღეს მათ არავითარი დღეობა არ ექნებათ.

სოფ. ნახურცილოვს მცხოვრებთა მონდობილობით მღვდელი **ამბაკო ჯავახია.**

P. S. ვთხოვთ ქართულ გაზეთებს ეს განცხადება მოგვითავსონ თავის გამოცემებში.

**ა. ჯ.**

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია
### კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში
ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

**კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** მოიპოვება ყოველგვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე **კალენდრები 1915 წლის**: ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის **ომის ქარტები** დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი

გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

— კ ა ტ ა ლ ო გ ე ბ ი უ ფ ა ს ო თ — თ.

ს პ ე ც ი ა ლ უ რ ი ს ა ხ ე ლ ო ს ნ ო
### პარმენ ამაღლობელის
(ქუთაისი, ქარვასლის ქუჩა).



**ფეხსაცმელები ევრ. და აზიური,** როგორც კაცის, ისე ქალის. სახლში სახმარებელი ჩუსტები კაცის, ქალის და ბავშების რუსული და ბუხრის ქუდები საუკეთესო კარაკულისა.



ფასები სხვებთან შედარებით დაკლებულია.

### ძმ. ყორყოლაძის მაღაზიაში
ქუთაისში, მიხეილის ქუჩა, საკუთ. სახლი.

**მიიღება** **საპნის საკეთებელი სოდა გოგირდის წყალი.**
საუკეთესო ფირმების სხვადასხვა ცნობილი **აბრეშუმის თესლი.**
**ვენახის ასაკრავი რაფია „ვერმორელის" ქარხნის სარწყავი მანქანები.**
და მისი ყოველივე ნაწილები, აგრეთვე ყოველგვარი ბაკალიური საქონლები.
ფ ა ს ე ბ ი ზ ო მ ი ე რ ი ა.

გ ა მ ო ვ ი დ ა დ ა ი ყ ი დ ე ბ ა
**ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში**
### თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი
ფ ა ს ი 60 კ ა პ. წ.

**თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.**

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ.
„იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ.
„იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 კ.
7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. გარსევანიშვილის თხზულება.
9) „Поэтъ Грузіи Акакій" 10 კ.
10) ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია.

**აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.**

1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით · 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.

**რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.**